კვირა, 31 ივლისი, 1916 წ. | რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეშეაკიკ-ბათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 31

ინტერზოოლოგიური სეირნობა თელავის გულვარში.

თფილისი, 31 ივლისი 1916 წ.

სიცხე და მოდათა განვითარება.

ერთის შეხედვით იფიქრებს კაცი: რა კავშირი უნდა იყოს სიცხესა და მოდის განვითარებათა შორისო, და მართლაც ყველა ვერ დაინახავს ამ კავშირს. ალბათ ამ ერთგვარი სიბრმავით და ქართველი ინტელიგენციის გერგილობით აიხსნება ის მიუტევებელი გულგრილობა, რომლითაც აღნიშნულ საკითხს ჩვენ, ყველაფერში უალღოო ქართველები ვეპყრობით.

რაზე გინდათ, რომ ქართულ გაზეთებში არა სწერდენ. უბრალო არჩევნებზე, პარტიულ განხე-

თქილებაზე, შიმშილზე, კოოპერაციასა და ეკლესიაზე, შავ ქვასა და ცხელ ნაცარზე, მაგრამ ისეთ კარდინალურ საკითხზე, როგორიც არის „სიცხე და მოდათა გავნითარება“ ჯერ არავის კრინტი არ დაუძრავს.

ჩვენ მეტი დუმილი აღარ შეგვიძლია, გაჩუმება სამშობლოს ღალატი იქნება. მაშ გზა მშვიდობისა!

ყველა ასტრონომები ერთხმათ ამტკიცებენ და ძველს კარაბადინებშიაც სწერია, რომ მაისის თვიდან მოწყებული, ვიდრე აგვისტოს ბოლომდე მზეს მეტი ძალა აქვს და სიცხეს აყენებს. შენიშნულია ისიც, რომ ამ ხნის განმავლობაში დიღით უფრო ცხელა, ვიდრე ღამით და ჩვენის აზრით ესეც მზის გავლენას უნდა მიეწეროს.

„მზე როს ციდან იყურება
სხივებს ის არ იშურება,
ხალხნი ვოფლით იყურება,
და საშინლათ იწყურება“-ო.

სწერდა ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი სოლომონ ზურგიელიძე ჟურნალ „სვინტრის“ მე 5 ნომერში.

ამ პატარა ტაეპში მთელი ფილოსოფიაა ჩანერგილი მგოსნის მადლიანი ხელით. სიცხეში მართლაც ოფლით „ვიყურებით“ და საშინელი წყურვილიც გვახრჩობს.

„და სიცხისა მოსაკლავათ
თფილსა ვიძრობთ სამოსლებსა
ხან ბაღებში ვწევართ ხოლმე
ხან პადვლებს და ხან ბოსლებსა“.

განაგრძნობს იმავ ლექსში სიამაყე ქართული პოეზისა და მით ფარდას ხდის ჩვენი მუსაიფის საგანს.

იდეალი ტანთ-სამოსისა, რომლის მიღწევად მიილტვის თანამედროვე ქალობრიობა, გამოიხატება ამ სიტყვებათ:

— ტანთ გემოსოს და არა სჩანდეს იგი!

რასაკვირელია ჩვენ სახეში გვაქვს ტანთ საფარავი და მართლაც დიაცთა მოდგმა და მოდათა ავტორნი ყოველის სწრაფით მიისწრაფიან იმ მხრივ, რომ მათი სამოსი არა ჰფარავდეს გარშე თვალთაგან რაიცა იყოს ქვეშე მისთა.

ზამთრობით ეგ შესაძლებელი იქნებოდა, თუკი მოეხერხებიათ მეცნიერებს ზუშეულობის ფართლეულობათ გამოყენება, მაგრამ ეს ჯერ მიღწეული არ არის. სამაგიეროთ ზაფხულობით ქალებს შეუძლიათ სრულიად განიტიტვლონ პერიფერიები, ანუ განაპირა უბნები სხეულისა და ბაზარზე გაიტანონ ისინი.

„ეშმაკის მათრახის“ № 30 პირველ გვერდზე მოთავსებული იყო კარიკატურა ო. ი. შლინგისა, რომელიც ჩინებულ ილიუსტრაციას წარმოადგენს ამ წერილისათვის. მაგრამ ეს ხარისხი სამოსთა განძარცვისა ჯერ მხოლოდ შინაობაში მოხდა, მას არ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება. საჯარო ადგილებზე კი მათ მხოლოდ წვივები, (ვიდრე მუხლის თვალამდე) მკლავები (ვიდრე კიმკიმას დასაწყისამდე და მკერდი (ვიდრე „კატის უბნამდე“*) აქვთ ტიტველი.

რაღა თქმა უნდა, რაც მეტი სიცხე იქნება, დაფარული სივრცეც იკლებს და მოვა ისეთი ბედნიერი დრო, როცა საკმარისი იქნები მხოლოდ ერთი ვაზის ფოთოლი, თუკი იმ დრომდე მილდიუმ მეტი ძილა არ მოიკრიბა, შაბიამანი უფრო არ გაძვირდა და ვაზს საკმაო ფოთოლი შერჩა.

სახუმარო რვეულიდან.

1.

მგოსანი რახუნაშვილი.

ჩვენში ზოგიერთები აკვანში იწყებენ ლექსების წერას. პარნასის გავლენა ისე ძლიერია, რომ ნიჭიერ ბავშვებს სწრაფად მოანახვინებს „აღუს“-თვის რითმას, მაგალითად „თაღუს“, „ტაღუს“, და ერთ მშვენიერ დღეს, პატარაც ლექსით ალაპარაკდება. მაგრამ ეს სრულებით არ ითქმის მგოსან რახუნაშვილზე, რომელიც დღეს საქართველოში ცნობილ მგოსნათაა მიჩნეული. დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა მას პარნასიდან „კამანდიროვკაში“ წამოსული მუზა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დააკვესინა ლექსი, სანამ ოცდა-ხუთმეტი წლის არ გახდა. მაგრამ არც იმას ვიტყვით, რომ მუზის ცდას უბრალოთ ჩაევლოს და ლექსების წერამდე რახუნაშვილს კალამი არ ეფხაჭუნებიოს.

იგრძნო თუ არა მან მუზის პირველი შეხება, მაშინვე მოჰკიდა საწერ-კალამს ხელი და ქაღალდიც შესაფერისად დასვარა. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და

*) ეგ სახელი „ცისფერ ყანწებიდან“ არის ნაწარმოები.

რახუნაშვილის კორესპონდენციებიც დაიბეჭდა გაზეთებში. ამ დღიდან მოკიდებული რახუნაშვალი უერთგულესი თანამშრომელი გახდა პრესისა. რომელი სოფელი გინდათ, რომ მას არ აეწეროს, საიდან არ მოუთავსებია მას კორესპონდენცია! უდიდესი ღირსება რახუნაშვილის კორესპონდენციებისა ის იყო, რომ ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავდა, ერთ გეგმაზე იყო გამოჭრილი: სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, გლეხების სიღარიბე, დრამის ფულზე გამწარებული მღვდელი, „ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალების“ უსაქმობა და კარტის თამაში,—აი რის გარშემო ტრიალებდა ყველგან და ყოველთვის რახუნაშვილის ფანტაზია. ასე რომ მის კორესპონდენციას სოფელ „ჟალაბოურის“ მაგიერ რომ სოფელი „პატრიკეთი“ დარქმეოდა, ან კიდევ სოფელი „კონტუათი“, სრულებით არას დაკარგავდა, ვინაიდან ყველა სოფელს ერთნაირათ მიუდგებოდა. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ რახუნაშვილი ყოველ კორესპონდენციას რედაქტორის სახელზე თან ატანდა ამგვარ წერილს: „დიდათ პატივცემულო რედაქტორო! გიგზავნით ფრიად საინტერესო წერილს, ფაქტი სრული ჭეშმარიტებაა, თუ ვინმე შემომედავება, სისხლის წვეთამდე დავიცავ ჩემს აზრს, ამიტომ, თუ ცენზურული პირობები არ შეგიშლისთ ხელს, გთხოვთ დაბეჭდოთ, მარა უცვლელათ კი. თუ წერილი არ დაიბეჭდება, გთხოვთ მიზეზი მაცნობოთ და წერილიც დამიბრუნოთ (შავი არ შემინახავს), რისთვისაც გიგზავნით საფოსტო მარკას. კორესპონდენციას მოეწეროს სრულიად და უცვლელათ ჩვენი სახელი და გვარი: **თეიმურაზ რახუნაშვილი**“.

რახუნაშვილის წერილი ბევრჯელ წაფრიალებულა თავდაყირა სარედაქციო გოდრისკენ, მაგრამ ავტორს ამის შესახებ არცერთი სასამძიმრო წერილი არ მოსვლია რედაქციისაგან, ასე რომ მარკებსაც თქვენი ჭირი მიჰქონდათ, თუნდაც, უნდა ვიფიქროთ, რომ არა სარედაქციო გოდრისკენ.

ასეთ ყოფაში შეუსრულდა რახუნაშვილს 35 წელი; ეს იყო განვლილი მოძრაობის განელების დასაწყისში როცა სალიტერატურო ასპარეზზე მერანი მერანზე გამოაჭენეს ჩვენმა ახალგაზრდა მგოსნებმა. მოსწრებული კაცები ამბობენ, რომ პოეზიით გატაცება ისე ძლიერი იყო იმ დროში, რომ მთელი საქართველო სამზარეულოშიაც კი ლექსებით ლაპარაკობდაო. რა გასაკვირია, რომ ასეთ ატმოსფერაში რახუნაშვილსაც ენა ამოეღო და გარითმებით ელაპარაკნა. და ერთ მშვენიერ დღეს, წაჰკრა თუ არა ჩვეულებრივათ მუზამ ხელი, ხელათ წასქდა რახუნაშვილს პირიდან შემდეგი რითმები: ია, ბია, ტყვია, ღლია; აია, ბაია, მაია, კაია.

— ბიჭოს, ეს რა ადვილი საქმე ყოფილაო,— წამოიძახა თეიმურაზმა და წამსვე შეუდგა კალმით ქაღალდის გაშავებას. არ გასულა ერთი კვირა და რახუნაშვილის ლექსიც დაიბეჭდა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და საქმე გაიჩარხა. რომ იცოდეთ რამდენი სიცილი იყო ამ ლექსების გამო ქართულ რედაქციებში, მაგრამ რახუნაშვილის ლექსები მაინც იბეჭდებოდა, ქართველი საზოგადოება მაინც სტკბებოდა მისი პოეზიით. რახუნაშვილსაც ეს უნდოდა, ის ნათლათ ამჩნევდა, თუ როგორ თანდათან იწევდა მისი სახელი და დიდება და ლექსების წერასაც უმატა, დღეში უკანასკნელს სამ-ოთხს ლექსს დასწერდა.

— კაცო, რა დრო დამიკარგავს, რა დრო, ამ ოხერი კორესპონდენციების ჯღაბნაში!—ამბობდა ღიმილით და განაგრძობდა წერას.

ამ დროს ერთმა „უმუშევარმა სტუდენტმა“, რომელიც დღე და ღამე სარდაფებში იყო და ამასთანავე წ. კ. საზოგადოების სტიპენდიასაც იღებდა, კრიტიკოსობა დაიწყო და რახუნაშვილის შემოქმედებას რამდენიმე ქათინაური უძღვნა. ეს სრულიად საკმარისი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, რომ რახუნაშვილი შოთას გვერდით დაესვათ. რახუნაშვილმაც, რასაკვირველია, შეიფერა ეს საპატიო ადგილი და მედგრათ შეუდგა საკუთარი პოეზიის გავრცელებას და პოპულიარიზაციას. არცერთ ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ასე ხშირათ იმართება ჩვენში, რახუნაშვილი არ დაჰკლებია, არ დაბეჭდილა ერთი ქართული აფიშაც კი, რომელზედაც მგოსანი რახუნაშვილი არ ყოფილიყოს გამოქიმული. სადაც უნდა გამართულიყო საღამო, გინდ ქიზიყში, გინდ აჭარაში, გინდ გურია-სამეგრელოში, ან კიდევ ქართლ-კახეთში, რახუნაშვილი ყველგან საკუთარის ხარჯით მიმოდიოდა და კითხულობდა თავის ლექსებს.

ამასთანავე გაზეთებში რეცენზიას თითონ ათავსებდა თავის თავზე, ანდა მანამ არ მოეშვებოდა „ადგილობრივ კორესპონდენტს“, რომელთა რიცხვი ლეგიონია, სანამ რეცენზიას არ დააწერინებდა. წე-

რილი, რასაკვირველია, რახუნაშვილის ქებით უნდა დასრულებულიყო: ჩვენმა სასიქადულო ახალგაზრდა მგოსანმა*) საზოგადოება დაატკბო და სხვა.

რახუნაშვილი ხშირათ ასეთ საშიშ ცნობებსაც კი აწვდიდა გაზეთებს თავის შესახებ: „მგოსანი რახუნაშვილი გუშინ ათ საათზე საშიშ ავად გახდა, ექიმების აზრით მდგომარეობა სერიოზულია. მნახველებს სთხოვენ ავათმყოფს ნუ შეაწუხებენ“; მესამე დღეს გულ-აძგერებული საქართველო უფრო სანუგეშო ამბავს ამოიკითხავდა გაზეთში: „მგოსანი რახუნაშვილი თავს მშვენივრათ გრძნობს და ამ დღეებში კიდეც გაივლისო“. ამას გარდა სხვაგვარ ცნობებსაც აწვდიდა თავის შესახებ რახუნაშვილი ჩვენს გაზეთებს, მაგ.: „მგოსანმა რახუნაშვილმა რკინის გზის სადგურზე დაჰკარგა უკანასკნელი თავისი ნაწარმოები „ყვავილთა შორის“, მნახველმა დაუბრუნოს ავტორს, ადრესი ყველამ იცით“; „მგოსან რახუნაშვილს გადაწყვეტილი აქვს ესა თუ ისაო“ და სხვა. თეიმურაზი ყველგან სიტყვა „მგოსანსა“ ხმარობს. ეს იმიტომ რომ რახუნაშვილის აზრით სიტყვა „პოეტი“ რაღაც გაცვეთილი და მოძველებულია, „მგოსანი“ კი უფრო ღრმა აზროვანი და მეტის შარავანდედით მოცული.

ასე შეიქმნა რახუნაშვილი ცნობილ მგოსნათ საქართველოში. როგორია მისი ლექსების თვისება? ტყუილი ცდა იქნება თუ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ რახუნაშვილის ლექსები მისი კორესპონდენციებისაგან განირჩევაო: იგივე აზრთა სიმარტივე, ფერადების უქონლობა, სიღარიბე, მღვდელი, დიაკვანი, მამასახლისი, სახნისი, კავი-და სხვა. აი რის გარშემო ტრიალებს რახუნაშვილის პოეზია, მისი ლექსი გინდ წაღმიდან წაიკითხე და გინდა უკუღმიდან, გინდა ქვევიდან, გინდა ზევიდან, აზრი ყოველთვის ერთნაირი იქნება, არც ფორმა და არც შინაარსი არაფერს არ დაკარგავს, პირიქით, შეიძლება კიდეც მოიგოს.

—

ამ ორიოდე წლის უკან ჩვენმა კრიტიკოსებმა „ვინ ხარ მამაცი“-თ აგვიკლეს: ვიღუპებით ხალხი, ჩვენს პოეტებს სათანადო განათლება არა აქვთ და ამიტომ აზრიანი ვერაფერი დაგვიწერესო. ეს შეეხებოდა რახუნაშვილსაც, რომელიც ხშირათ იმ აზრისაც იყო, რომ უბრალო ხალხისთვის დღევანდელ წესწყობილებაში რაც მე ვიცი იმაზე მეტი ცოდნა რა საჭიროაო. ხშირათ იტყოდა ხოლმე მგოსანი, მაგრამ ახლა აზრი იცვალა: „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ ხომ იცით. და შეუდგა თვითგანვითარებას. როგორც პოეტი, დაეძალა პოეზიას, ლექსებს, ბელეტრისტიკას კი სიახლოვესაც არ იკარებდა—რა ჩემი საქმეა პროზაო. მაგრამ ერთ ბედნიერ დღეს რაღაც მანქანებით გოგოლის „Старосвѣтскіе помѣщики“ ნახა და კითხვასაც შეუდგა. ჩაიკითხა ბოლომდის, მაგრამ არაფრად ეჭაშნიკა, „თუ ამის დამწერი კაცი დიდებული მწერალია, დაქცეულა ქვეყანა და ის არისო სთქვა. და ის იყო შორს უნდა გადაეგდო მოთხრობა, რომ რაღაც ზეშთაგონისებური მოევლინა მას. მოაგონდა ათანასე ნიკიფოროვიჩი და ნესვები და სახე გაუბრწყინდა. ხომ გახსოვთ როგორ იქცეოდა გოგოლის ეს გმირი ნესვების მიმართ: მიირთმევდა თუ არა რომელიმე მათგანს, მაშინვე მოაგროვებდა მის თესლებს, გაახვევდა ქაღალდში და ზედ დააწერდა: „ნესვი ესე შეჭმულ არს ამა და ამ დღეს და ამა და ამ წელსო“, შემდეგ ასეთი ეპიტაფიისა ნესვის თესლს თაროზე ჩამოდებდა და წლიდან წლამდე ინახავდა. აი ეს მოეწონა მგოსან რახუნაშვილს მთელ ნაწარმოებში.

— ბიჭოს, ეს ძალიან აზრია,—წამოიძახა მან, —მართლაც კი შეძლებია წიგნების კითხვას კაცის განვითარება, აი მე რო ლექსებს ვბეჭდავ, რაზე არ ვაწერ ქვევით თუ როდის დავსწერე! ათანასე ნიკიფოროვიჩი ნესვებს ეექცეოდა ასე გულმტკივნეულად და პოეზიის ნაპერწკლები არ უნდა დავაფასო! აი შენ ჩემო თავო!

ამის შემდეგ არ დაბეჭდილა არც ერთი ლექსი რახუნაშვილისა, რომელსაც ქვევით არ წერებოდა, თუ სად დაიწერა, როდის და რა დროს. ამას კატეგორიულათ მოითხოვდა იგი რედაქციისაგან, იმ საბუთით, რომ ეს „აუცილებელათ საჭირო იქნება მომავალი თაობისათვის“ და „შრომას გაუადვილებს ჩემი შემოქმედების მკვლევარსო“. რედაქციებიც ეთანხმებოდენ რახუნაშვილს და ყოველ ლექსის ქვევით მიუბეჭდავდენ ხოლმე: „ს. ოფეშქეთი, 18 მარტი, 19.. წ.“, ან კიდევ „ქ. ესა ესო და სხვა.

აი რა შესძინა თვითგანვითარების დაწაფებამ თეიმურაზ რახუნაშვილს, რომელმაც იგრძნო რ საკმაო განვითარება, დღეს წიგნებს მარტო თარო

*) ლაპარაკია არა ხნოვანობაზე, არამედ რახუნაშვილის ლექსებში ლექსის დაწყებაზე. ავტ.

ზე სდებს თაგვების საკითხავათ. პირველ ხანებში კი თვითგანვითარების წყურვილმა საშინლათ გაიტაცა და ვისაც კი შეხვდებოდა, ეუბნებოდა: „კაცო, რა ყოფილა ეს წიგნების კითხვა, ასე მგონია რაღაც შემოდის ძარღვებში და მიღიტინებს, მაფრთოვანებს, მაახალგაზრდებსო“.

ამ ჟამათ რახუნაშვილის სული და გული მუზიანათ მიჯაქვულია ერთ აზრზე. სახელდობრ თავის ნაწერების გამოცემაზე. მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი რამ ეღობება წინ ჩვენს სასიქადულო მგოსანს. პირველ ყოვლისა კი ის, რომ ვერ გადაუწყვეტია კორესპონდენციების ბედი. არ იცის პირველ ტომათ გაუშვას, თუ მეორეთ, თუმცა საქმე საბოლოოთ არაა გადაწყვეტილი, მაგრამ ერთი პროექტი ასეთია: პირველ ტომათ გამოვიდეს კორესპონდენციები, რომელსაც უნდა დაერთოს მგოსნის სურათი და ჩვენი კრიტიკოსების წერილები, მეორე ტომათ კი ლექსები და ავტორის ავტო-ბიოგრაფიასთან ერთად მისი მშობლების სურათებიც, აგრეთვე კრიტიკული წერილები წინასიტყვაობის სახით. თუ რომელ ტომს რომელმა კრიტიკოსმა უნდა დაუწეროს კრიტიკული შექება, ეს ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის, მაგრამ ტაქტიკურის მოსაზრებით ჯერ-ჯერობით არ ამხელს, ხოლო ამას კი ამბობს, რომ პირველი ტომის ესტეტიურათ გამრჩევ შემქებ კრიტიკოსთა შორის უთუოდ იქნებიან ალ. წერეთელი და გიორგი ჭუმბურიძე, თუ, რასაკვირველია, რახუნაშვილი თავის თავს ფედერალისტათ აშკარათ გამოაცხადებს.

ვუსურვოთ რახუნაშვილს აქაც სრული გამარჯვება და კითხვისაგან მოვისვენოთ.

ვ. მალაქიაშვილი.



პატარა ფელეტონი

ტელეფონთან.

— ძინ, ძინ, ძინ!

— ვინ არის ტელეფონთან?

— მე ვარ თედორე. თქვენ?

— მე სამსონი ვარ. ვინ გინდა?

— არჩილი მოვიდეს ცოტახანს ტელეფონთან.

— არჩილს არ ცალია, მეთაურს სწერს.

— აუცილებელი საქმე მაქვს, მოიცალოს ცოტახანს...

— ეჰ, აღარ მოასვენებ ადამიანს!.. ვეტყვი, დაიცადე...

— ძინ, ძინ, ძინ!

— არჩილი ხარ?

— ჰო, მე ვარ, რა გინდა, კაცო?

— ვიცი გაგეხარდება და იმიტომ მოგაცდინე: ორი მუშა (ყოფილი დასელნი) კიდევ შემოგვემატა ჩვენი — ეროვნული რწმენა შეუთვისებიათ!..

— მართლა?! ემატოს, ემატოს ჩვენს... მაგრამ მაგისთვის როგორ მომაცდინე? საუცხოვო მეთაურს ვსწერდი და მადა დამეკარგა...

— რაზე სწერ სახვალიო მეთაურს?

— სიძვირეზე, გაპირვებაზე...

— ეჰ, კიდევ თქვენებურათ მოქმედებთ, კაბინეტურათ!.. კაცო, რა გამოვა მაგეების წერით? სანამ ჩვენში სომხები იქნებიან ვაჭრებათ მანამ სიძვირე რამდენიც უნდა ვსწეროთ — არ მოისპობა, არა... არ იცით, რომ სომხის ხალხს საზოგადოთ და ვაჭრებს განსაკუთრებით მხოლოდ ფული უყვართ!..

— როგორ იქნება, ხომ ხედავ ქალაქში უწესობა მოხდა...

— ჰმ, უწესობა, მაგასაც თავისი ღრმა ეკონომიური მიზეზი აქვს... მაგ ტემაზე მე ვფიქრობ ამ დღეებში დიდ, მეცნიერულ და სტატისტიკით დასაბუთებულ შრომის დაწერას. მოდი ისევ ეროვნულ თემაზე დასწერეთ რამე... დეე, ბარემ ერთბაშათ იგრგვინონ დასელმა მუშებმა და ჩვენ კენ გადმოვიდნენ... არჩილ! რომ იცოდე როგორ იმარჯვებს ჩვენი მრწამსი... მე ხომ ეხლა პრაქტიკულ მუშაობას ვეწევი და ჩემს აღტაცებას ზოგჯერ საზღვარი არა აქვს: აშკარათ ვხედავ მუშები როგორ ეთიშებიან დასელებს და „ზვირთს“ ეკედლებიან!.. მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი ჯარი ყავთ დასელებს და ასე ცოტ-ცოტა თუ გადმოვიდა, — ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება. ამიტომ საჭიროა ჩვენც მოუხშიროთ წერას განსაკუთრებით მუშებზე... სიძვირეზე სხვა, ბურჟუაზიულმა გაზეთმა წეროს. რა მუშების, პროლეტარიატის სადაო საკითხი ეგ არის მაინც-დამაინც...

როგორ იქნება, როგორ იქნება! დაგვცინებენ... „დარბაისელ გაზეთს“ უწოდებენ ჩვენ გამოცემას, დიდი ავტორიტეტი აქვს ქართველ საზოგადოებაში და რაც ამ ჟამათ მას აღევლებს, მაზე უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი. წარმოიდგინეთ, „თან. აზრი“-ც კი ყურადღებას აქცევს ამ კითხვას და ყოველ დღე წერილებს უძღვნის... ჩვენ? მარტო დასელებზე ვიმსჯელოთ?! გარდა ამისა, „ზვირთი„ ხომ თავისუფალია, მოდექი და... სულ ბდღვირი აადინე!.. მოუსვენარი კიდევ ხომ ვერ მოისვენებს, უთუოთ მოგაწვდის რასმე ამ ნაშრომისთვის. გამაგრდი, არ მოგაკლდება მასალები!..

— მე, ძმაო არჩილ, თუნდა ათი ნომრის მასალას ერთ დღეს დავამზადებ, გაჭირვებით, მადლობა ღმერთს, ჯერ არ გამჭირვებია, მაგრამ „ზვირთი“ მარტო არ კმარა, საჭიროა „სახალხოც“ მუშათა საკითხებს მეტ ყურადღებას აქცევდეს. დააკვირდი საქმეს: „საქართველოც“ კი სოციალისტობს ხან-დიხან და მუშათა კითხვებზე საუბრობს!.. ჩვენ უფრო ნათესაური კავშირი გვაერთებს სოციალიზმთან ვინემ მათ. „საქართველოს“ თავადებსა და „კუპცებს“.

— არა, ძმაო თედორე! მე მაგ განყენებულ მსჯელობაზე ვერ დაგეთანხმები სავსებით... ნათესაობა ჩვენ უფრო „საქართველოელებთან“ გვაქს, ვინემ დასელებთა, ხოლო სოციალიზმთან-კი სრულებით არაფერი!..

— ამ შემთხვევაში მე პროგრამაზე მიგითითებთ!..

— პროგრამაზე მიმითითებთ?!

— დიახ, პროგრამაზე, სადაც სოც. ფედ. ნათლათ და გარკვევით აქვთ აღნუსხული სოციალიზმის გზა და მიზანი.

— ჰოო, იმ პროგრომზე ამბობთ? იქ დიახაც არის აღნიშნული, მხოლოდ აღნიშნული.. მაგრამ ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. ეხლა-კი ისევ ჩემი მეთაურის წერა უნდა განვაგრძო... ნახვამდის.

— ნახვამდის.

— ძინ, ძინ, ძინ!..

ალბურიონი.



„ძველი“ და „ახალი“

„სახალხო ფურცელიც“ სწერდა...
(მარტო ბუზებს არ იჭერდა...)
...რომ „პოღრომი“
თფილისისო,
სამიდან—ხუთ
ივლისისო,
არ ეხება
„ძველ“ თფილისსო
და „ახლისგან“
ივლის ისო...
ვისაც ესხან თვალნი მზერად,
(ვინც არ სდევდის ბუზთ საჭერად!)
ის ნახავდა
ძველ თფილისელთ
ხავერდები
რო ეპყრა ხელთ.
რომ მხევალნი
ჩიხტა-კოპით,
(სახელ ქმნილნი
მაჭანკლობით!)
„პოღრომს“ ტკბილათ
ნაგუებნი
მაუდ დანაჩაგუებნი
მიდიოდენ
არხეინათ
(თითქოს ფულით
შაეძინათ!)
და თუ მართლაც
„დედა-თფილისს“
ან სამსა, ან
ხუთსა ივლისს
თავი განზე
დაეჭირა
და ქართველი
ტურფა ცირა
(მორცხვი როგორც
„მზეს უმზირა!!“)
ბედს სხვებში
არ ჩაეჩხირა,
და ნაძარცვით
დანატვირთნი
მოზარდთა და
ხნოვანთ ზვირთნი

ქუჩებს ზღვად არ მოსდებოდა,
არც „პოღრომი“ მოხდებოდა!
(ძარცვას ხელი
თუ ვინ მიჰყო
იქ გარჩევა აღარ იყო!)
და ვინც ნახავს
„განაჩენებს“
ძველ თფილისელთ,
მკვიდრსა ჩვენებს,
მუნ ბევრს ჰპოებს
მონახსენებს...
(იქნებ ქართულს
ვერ მიმიხვდით?
მოკრძალებით
ვამბობ დიდით!)
მაშ მო, ვნახოთ
„პროტოკოლნი“,
სად თფილისელ
მკვიდრთა ცოლნი
იქნებიან ნახსენები
ამ „პოღრომთა“
დამმშვენები.

—

და თუ ჩვენ არ
ვცდებით... მგონი
ძველის-ძველი
დაბა **ხონი**
სავაჭროთა
დიდთა მქონი
და სკოლათა
ჩემპიონი,
გახდა მსხვერპლი დედა-კაცთა
(ძარცვა-გლეჯა არც მას ასცთა!)
თქვენ გექნებათ
განაგონი,
რომ, არა თუ
მარტო ხონი
გახდა მსხვერპლი
„ტრაღედიის“,
და ამბავი
სამტრედიის
ყველამ იცით
უეჭველათ,
თუმცა სამტრედია ძველათ
არც კი ჰღირდა ხსენებადა,
ის ბოლო დროს დაგვებადა!

—

მე კაცი ვარ
ერთობ ჩუმი,
თორემ განა
ეგ **ხოხუმი**
ზღვის პირათ რომ
გაჭიმულა,
გაუცარცველ დარჩა სულა?
ან ეს ჩვენი
„ოდელია“
ბანძა დიდი
სოფელია
(სადაც „ნახევარი ქურდობს“,
„ნახევარიც მთხრობელია“)
ხომ „ძველ“ ოდიშს
დაამშვენებს
და ბინა აქვთ
მარტო ჩვენებს?

—

ვსთქვათ „ძველ თფილისს“
ვაშა! ვაშა!
ეგ **სუჯუნა?**
ეგ **აბაშა?**
აღარ ვიცი
რომელი ვთქო,
დედა-კაცნი
(განგებ თითქო!)
არ არჩევენ „ძველს“ ახალში
და „პოღრომთა“
ტრფობის ალში
ეწრთობიან
იხრაკვიან,
„ჩვენებზე“ ვსჯით
ერთობ გვიან.

ეშმაკი.





„განცხრომის მოედანი“ თელავში.

კუროორტი თელავი

ფერილი მეოთხე

ამ ხანად, ცხოვრება აგარაკ თელავისა სდუღს და გადმოსდუღს. მე თქვენ გითხრათ აკლდეს რამე შემთხვევით, ან განზრახ აქ ამოსულს! მარტო ქალაქის თვალი, სააგარაკო ბულვარი, რათა ღირს. იშვიათია საზღვარ გარედაც, არა თუ რუსეთში, ასეთი ხელოვნებით და გემოვნებით გაშენებული ბაღი. აკაციები და იფნის ხეები მედგრათ სდარაჯობენ, დაღვრემილ ციხის კედლებთან ერთათ, აქ მოსიარულე საზოგადოებას და მზის მხურვალე სხივთაგან იფარავენ მათ.

ვის გინდათ აქ არ შეხვდეთ. ისეთი ერთსულოვნება, თანხმობა და წმინდა პატრიარქალური მამაშვილური განწყობილება, როგორიც აქ სუფევს, ძნელათ თუ სადმე მოიპოვება. ამას ნათლად დაინახავთ, როცა დახედავთ ჟურნალის პირველ გვერდზე მოთავსებულ სურათს. (იხილე სურათი 7. გვერდი 1).

მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, თითქო მარტო ამ ედემისებური ბულვარით ისაზღვრებოდეს ადგილობრივ „მამათა“ მზრუნველობა მოაგარაკეთადმი. არა, ამავე მიზნისთვის ქალაქს გამოყოფილი აქვს უწარჩინებულესი მდელო „ნადიკვარი“, რომელსაც მოაგარაკენი „განცხრომის მოედანს“ ეძახიან. ელექტრონის თვალთა მომჭრელი სინათლე, საუცხოვო სკამები, ყვავილნარები, შადრევანები და სხვა ამგვარი მოწყობილობანი ამკობენ, ნადიკვრის ბუნებრივ სიმშვენიერესა და სიმდიდრეს. უმანკო ქალვაჟთა გულუბრყვილო, ანგელოზისებური თამაში ატკბობს პირველ მნახველთა გულსა და სულს. ეგრეთ წოდებული „ფლირტისა“, ანუ ჩვენებური „არშიყობის“ შესახებ აქ წარმოდგენაც არა აქვთ. (იხილე სურათი 8. გვერდი მერვე).

მოაგარაკეთა კეთილდღეობა სხვა მხრივაც უზრუნველ ყოფილია ადგილობრივ თვითმართველობის მიერ. აქაურ საყასპოებს მეტოქეობის გაწევა შეუძლია თითქმის საუკეთესო ქალაქების საყასპოებთან. რის ხორცი გინდათ აქ რომ ვერ იშოვოთ.

სანოვაგე თელავში.

ირემი, შველი, ჯიხვი და სხვა აქ გამოულეველი და თავზე საყარია. შინაურ ცხოველებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. თავაზიანობა ყასპებისა პირდაპირ აუწერელი და მომხიბვლელია. (იხილე სურათი 9. გვერდი მეცხრე):

და განა მარტო საყასპოები? თქვენ მიბრძანდით და ნახეთ ბაზარი შინა სანოვაგეთა. რას მოისურვებს ადამიანის განებივრებული ხასიათი, რომ აქ ვერ იშოვოს საზღაპრო დაბალ ფასებში. ჩიტის რძე, ისიც კი იყიდება ჩარექობით. აღსანიშნავია, რომ ეს დარგი ვაჭრობა-მრეწველობისა ერთიან დიაცთა ხელშია და ყოველივე საფრთხისაგან დაზღვეული (იხ. სურათი 10, გვერდი 16).

და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ მოუბრუნდება ვისმე პირში ენა, რომ სთქვას: — თელავს პატრონი არა ჰყავს. მის მამინაცვლებს საღათას ძილით სძინავთო. (იხ. სურ .6, გვ. 16).

ოსკარ ი. შლინგი.

ოჰ, შაქრის მოგგონო...

სანდრო გორელის წერილი ცოლთან, ყვირილის ციხიდან მონაწერი.

(სცენა ჰიათურისათვის).

ევაჯან, გენაცვალე კარალინკა სახეში, რასა იქ და როგორა ხარ, კაკ პაჟივაიშ დუშკა! წერილს აქამდისაც მოგწერდი, მაგრამ რაღა მოგწერო გენაცვალე! გამიწყრა თელეთის მადლი, შავჯექი ვირზე და ეხლა ათასი თავში ქვა ვიხალო რაღა ეშველება საქმეს! არა, ქრისტიანო, რა ეშმაკი შამიჯდა, რა ქრისტე გამიწყრა, რომ საციმბიროთ გავიხადე საქმე! არა, რატომ არ მიხვდა ჩემი გადარდაკებული ბაშკა, რომ ამ ქვეყნათ პატიოსანი კაცი არსად არ არის! არა ისე მეამიტათ რომ ვენდე რატომ არ ვიკითხე, თუ ვისთანა მქონდა საქმე! ყველაფერი ჩემი ბრალია, მაგრამ რა ვქნა, მამატყუილეს დუშკა, კაცი ტირილით მოვიდა, შამეხვეწა: „ბავშვი მიკვდება უჩაიოთ და იქნება სამიოდე გირვანქა შაქარი მიშოვოო“. მეც გავბრიყვდი, შემეცოდა, მე დავიკელ და ჩემი ოჯახის შაქარი მივეცი სამი გირვანქა. არა, რა ვიცოდი, თუ ის ურჯულო და სარწმუნოებიდან გადამდგარი პუპლიკაციას დაჭკრავდა და თავრიზელი ვირივით იღრიალებდა! სიკეთის მაგიერათ იმ ჯოჯოხეთის ტარტაროზმა პრისტავთან მიჩივლა. თუ, სანდრო შავერდოვმა სამ აბაზათ მომყიდა გირვანქაო. ქრისტიანო, ის ურწმუნო ოითონ თოთხმეტ შაურს მაძლევდა, მაგრამ მე არ ვიკადრე და სამ აბაზათ მივეცი გირვანქა. არა, რა ვიცოდი თუ გულში სხვასა ფიქრობდა ის უმირნო ისა! ადამიანო, გაჭირვებულ კაცს უშველე და რას ვიფიქრებდი, თუ ის ფულზე კრინტს დასძრავდა. ამისთანა დროს კაცმ საქონელი იშოვო და ღირებულებაზე ილაპარაკოს! არ გახსოვს, ქრისტიანო, იმ დღეს პეტრუშკა რომ ვერ ვიშოვე, გუბელაძეს ამოვატანიე პადვლიდან დამალული და კონაში შაური მივეცი. რა უყოთ მიჭირდა და მივეცი. მართლა გუბელიძეკ აქ არის ჩემთან გალიაში. ცხრა კაპიკი ლიშნი გამოურთმევია ხახვში იმ საკირეში დასაწვავ „გოგიასთვის“ და იმისი პრატაკოლითა ზის საწყალი. არა მაინც რა დაუშავეთ იმ პირ ძაღლს რომ ასე დაგვერია ვაჭრებს და აღარ გვზოგავს. კაპეიკი ლიშნი რომ გამოართო ხელათ პრატაკოლს შაგიყენებს და „ეშმაკის მათს რახში“ ხომ საქვეყნო რაზბონიკათ გამოგიყვანენ რაღა! ევაჯან, გენაცვალე, ეს წერილი ჩუმათ წაიკითხე, რომ არავინ გაიგოს, თორემ ხელათ ამბავს მიუტანენ და ის ავაზაკი გაზეთში გამოგვეიმავს. ეხ, დუშკა, ვიწვი და ვიხრაკები უცეცხლოთ, მაგრამ რა ვქნა, ვიღას შავაბრალო თავი! ეს ჩვენი პრისტავიც ხომ უდივიტელნი კაცია რაღა! არც ხვეწნა გადის იმასთან, არც ფული და არც არაფერი! არა, ძალიან ჩაგვემტერა ვაჭრებს და სრულებით აღარა გვზოგავს. კიდენ ღმერთმა ააშენოს ტიგრან სტეფანიჩ სტეფანოვის ოჯახი. იმას რომ არ გადაეთქვა პრისტავთან და ლოჟნი პაკაზანია არ მიეცა, ნამდვილათ ირკურცკი გუბერნიაში მიკრავდა თავს ეს ჩვენი პრისტავი. შენ ხომ იცი რომ ტიგრანა უყურებდა სამ-სამ აბაზში რომ მივეცი გირვანქა, მაგრამ გადათქვა ააშენოს ღმერთმა. არა, მე ისა მკლავს, ადამიანო, რომ ორი თვე ციხეში ვიჯდე და რისთვის! არა, რომელი ყაჩაღი მე ვარ, რომელი ნაპადენია მე გამიკეთებია! მამალმა რომ დაიყივლოს შიშით სული მარცხენა ფეხის ფრჩხილებში მეპარება და მე რა სარაზბონიკო საქმის ჩამდენი კაცი ვარ? არა, ის დაწყეველილი დღე მაინც კვიმატი რამ იყო. განა არა მე დილითვე მივხვდი, რომ იმ დღეს მე ხეირი არ დამეყრებოდა, მაგრამ რომ არ დაუჯერე ჩემ თავს ვითომ ძალათაც ვხუმრობდი. გახსოვს იმ დღეს ნიკაპში რომ ხელი აგკარ და ნეჩაინათ ენა დაგაწეწკე? მერე რაღა იმ დღეს დაგაწეწკე ჩემ საუბედუროთ! შენ რომ ენა არა გტკიებოდა, იქნება რამეს მეტყოდი, დამიშლიდი და ასეთ ნესჩასტიაში არ ჩავკრავდი ორივე ფეხს. ეხ, რა ვქნა დუშკა, გავხდით მთელ ბაზრის სასაცილო და რაღა ეშველება გაფუჭებულ საქმეს! სხვა თუ ჩემ ამბავს იკითხავ, ვარ რაღა უცეცხლოთ დამწვარ-დახრაკული. ვზივარ ოთხკედელშუა და დღე და ღამე სულ შტურმის ვაინა მაქვს გამართული ბაღლინჯოებთან. არა, ამ სახეძაღლებმა სულ ჩემზე მაიცალეს რაღა! კაცი გაფშიკინებული ვარ სამ კაპეიკიანი ტარანივით და ეს ურჯულოები პასლედნი სისხლსა მწოვენ რაღა! ვა, შენ გენაცვალე მაგ ფიგურაში არ იდაროდე თუ ჩემი ხათრი გაქვს. მე კი არა გილდი კუპეწი, პაჩტი სოვდაგარი მიხა ლომაძე გადაასახლეს ირკუცკი გუბერნიაში და მე რომ ორი თვე ვიჯდე ვირის აბანოში, რა დიდი საქმეა! არ შამშნდე და წარბი არ შაიხარო. იმხიარულე, იცინე და მტერს თვალები დაუყენე. გრამაფონი და არღანი სულ ერთათ აყვირე, რომ ჭერმა უკაცობა არ შაიტყოს.

გორში არავის მისწერო და ისე ვინ რას გაიგებს, რომ სანდრო შავერდოვი სამი გირვანქა შაქრისათვის ტურმაში ზის. შენ თუ არ გაახმაურებ ვერავინ გაიგებს. გამოვალ და ისევ კაცი ვიქნები. შენ ძალიან ასტაროჟნათ იყავი გენაცვალე. დუქანი ეხლა შენ ხელშია და აბა შენ იცი. ტაკციის ნაკლებ მიეცი, ოღონდ ხლაფოთში ნუ გაეხვევი, თორემ შენც აქ ჩამოგარახრახებენ და სავსემ დავიღუპებით. კიდევ კარგი თუ ჩემთან დაგამწყვდიეს. მაგრამ ვაი თუ სხვა კამერაში ჩაგსვან და მე მშიერი კატასავით თვალები მაჭყეტინონ. აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორც შნოსა და ლაზათს გამეიჩენ, არ იდარდო გენაცვალე რაც იყო, იყო...

ნუ, რა უყოთ სლუჩი მოხდა,
მოითმინე გენაცვალე,
ნეჩაინათ დახრუკული
შენი სანდრო შაიბრალე.

ვაშკაცურად მოიქეცი,
არ გაგიტყდეს, გოგო, გული
თვალი სხვაგან არსად დაგრჩეს,
არ გეგონო დაკარგული.

პისმო პიში საარშიყო
შენ რომ იცი იმისთანა,
რომ დარდები გადიყაროს
და ამიტყდეს გულის ფხანა.

ადრესი არ დაგავიწყდეს,
პრამათ ჩემზე მაიწერე
და პისმაში რაცა გსურდეს
ტოჭი-ტოჭათ შიგ ჩაწერე.

დაწერევი: ნა ყვირილა,
ნა მაი მუჟ ციხეშია,
ბაღლინჯოების გეროის
ვენაცვალე სახეშია.

შაქრისათვის დატყვევებულს,
ჩაგდებულ ციხეს ბნელშია,
გადაეცეს ესე პისმა
პრამათ ჩემ სანდროს ხელშია...

გოგია.



მსხვერპლი

საწყალი ვანო! მეცოდება დაუვიწყარი მეგობარი! ჯან-ღონით სავსე ადამიანი იმსხვერპლა მხოლოდ უბრალო გარემოებამ.

ერთ მშვენიერ დღეს ვანო მესტუმრა.—გუგუული-ჯან, რას ფიქრობ, ღირს თუ არა ახალი სადგომის მოძებნა და დაქირავება? კაცო, სადღაც „ნახალოვკაში“ გადაკარგული ვარ! სწორეთ მცხვენია! მერე კიდევ ზაფხულია. მგონი ახლა ადვილი საშოვნი იქნება ოთახი შუა ქალაქში. ღვთის წინაშე ჯამაგირს ათ თუმნამდე ვიღებ თვეში და შვიდ-რვა მანეთს გავიმეტებ კარგ, კოხტა მოწყობილ ოთახისათვის.

და მე!.. მე, გულ ცივმა, ჩემს გულითადს მეგობარს ასეთი სიტყვებით უპასუხე:

— ეძებე, ჩემო კარგო, იქნება მონახო სადმე.

ოხ, რატომ არ გასკდა მიწა და არ ჩამიტანა თან ამ სიტყვებისათვის! იმის მაგივრათ, რომ ვანო ჯაჭვებით დამება თავის „ნახალოვკის“ ოთახში და მეც იქვე ყური მეგდო, რათა არ გაემეორებია თავისი სიტყვები, იმის მაგივრად, რომ... რომ... ახ! ღმერთო რა ცოდვა ჩავიდინე! რა სიტყვები უთხარი, ღმერთო ჩემო!.. და ვანო გახარებული დარბოდა თავისი ენერგიული ნაბიჯებით.

სამი დღის შემდეგ შევხვდი მას დიდუბეში. ველარ ვიცანი!

მისი მსუქანი ტანი ვენახის ჭიგოს დამსგავსებოდა, თვალებში რაღაც ავადმოყოფური გამომეტყვილება, ენერგია მოდუნებული!

— გამარჯობა, ვანო!

— გუგული, რას მირჩევ, ჰა! რომელი ვიქირავო? ერთი ოთახი საწოლით, მაგიდით, ორი სკამით, ცხელი წყლით, ხუთ თუმნად თვეში, თუ ერთი ოთახი საწოლით, მაგიდით, ერთი სკამით და ცივი წყლით, ოთხ თუმნათ და რვა მანეთად? ჩქარა თორემ, იქნებ ამასაც ვერ მივასწრო.

— დამშვიდდი, ვანო-ჯან. წამო ჩამსა, კარგათ ვისაუზმოთ, ძველებურათ ვიუიკჭიკოთ.

— არა!.. არის კიდევ ორი ოთახი უავეჯოთ და ყველა მოწყობილობით რვა თუმნად თვეში. ვიქირავო თუ არა?.. ოხ!.. მერე რაღა დარჩება ჩემი ჯამაგირიდან? რაღა გაუგზავნო ჩემს საბრალო დედას?.. ჰო, საბურთალოზე კარგი ოთახია სინათლით,

ერთი სკივრით და ორი სკამით ექვსი თუმანი! ვიქირავო თუ არა?

— ვანო, დამშვიდდი!

ამაო იყო ჩემი ცდა! ვერ დავამშვიდე ვანო! ვერ დავანებებიე თავი ოთახის ძებნისათვის. ისეთი აღგზნებული სახის გამომეტყველებით გამისხლტა იგი ხელიდან, რომ ვერ გავბედე მისი შეჩერება.

დიდხანს ვუცქირე თუ როგორ გაფაციცებით ათვალიერებდა იგი ფანჯრებს, რათა ეპოვა თეთრი ქაღალდის ნაგლეჯი — ნიშანი სახლის გაქირავებისა.

...მას შეხვედროდა ხუდადოვის ბაღის ზემოთ ჩვენი საერთო მეგობარი სოსო. ვანოს ქუდი სადღაც დაეტოვებია, ფეხსაცმელებში თითები გამოვარდნოდა, საყელო და გალსტუხი ხელში ეჭირა და მიექანებოდა.

— ვანო, ვანო!

— ჰა, ოთახი გაქ? ოცი მანეთი, ელექტრონის სინათლით და ნავთის გასათბობით... არა? სოსოს შეეჩერებია იგი, მაგრამ ვანოს ისეთი ენერგიით მოექნია თვისი ჯოხი, რომ სოსო შიშისაგან ორი ადლის მანძილზე გმდამხტარიყო. ვანო კი ფარფატით მისცემოდა ტრიალ ბინდვრებს...

...ეგრეთ წოდებულ „ზედა თბილისში“ ფუნიკულიორის ახლო, იგი ქვაზე ჩამომჯდარიყო და ცხარე ცრემლით მოსთქვამდა.

— ოთახო, ოთახო, თუმანიანო, სადა ხარ შენ! დამენახვე ჩემო კოპწიავ!..

...ღამე მახათას გორაზე ეპოვათ ვანო, ხელში ქაღალდის თეთრი ნაგლეჯები ეჭირა თურმე და ყოველ ქვაზე აწეპებდა, შემდეგ კი ეკითხებოდა მდუმარე ქვებს.

— რას აფასებ, ძმობილო, ამ შენ თუმნიან ოთახს? რვასა თუ ცხვა თუმანს? წყალ-სადენი გამოყვანილი გაქვს თუ არა?...

...შემდეგ იგი გულ-წასული ენახათ სოლოლაკის გვირაბში.

...წვიმიან დღეს კვლავ შევხვდი ვანოს. იგი გაუთავებელ ელისაბედის ქუჩაზე მიექანებოდა.

— ვანიჩკა!

— აა! სანჩო-პანჩო! მიპოვე, გეთაყვა, ჩემო კარგო, ერთი კოპწია ოთახი!

— ვანო, დამშვიდდი! ვერ მიცნობ, კაცო? შენი გუგული ვარ.

— უფალო და მეუფეო, ცხოვრებისა შენისაო, სულო ქეშმარიტებისაო!.. ყოფნა, არ ყოფნა, რომელი სჯობნის... ხა, ხა, ხა, ხა!

სთქვა ესა და მოჰკურცხლა.

საწყალი ვანო, ჭკუაზე შეშლილიყო. დაეედევნე მას წესიერების დამცველი ავტომობილით, მაგრამ ვერ დაეწივნენ. ვანო გერმანელების ახალშენში მიმალულიყო, დიდუბის იქით...

ერთი კვირის შემდეგ გაზეთში შემდეგი ამბავი ამოვიკითხე:

„ქალაქის სასაკლაოს ცოტა მღშორებით იპოვეს უცნობის გვამი, შეხედულობით ინტელიგენტია, ძალზე გამხდარი, მის სახეზე ნათლად არის დასახული, რომ რაღაც უბედურება გამოუცდია სიცოცხლეში. მიხეილის სავადმყოფოში გვამის გაჭრამ აღმოაჩინა, რომ იგი ათი დღის უშმელ-უსმელი ყოფილა. ეძებენ მის ნათესავებს ან ნაცნობებს“.

უცნობი გვამი ვანოსი გამოდგა. რაც კი რამ ფული მებადა სულ მის წესიერათ დასაფლავებას მოვანდომე... დიდუბის ეკლესიის გალავანში შესვლისთანავე დაინახავთ მის საფლავს, მარმალილოს ფიცრით დამშვენებულს. ფიცარზე წარწერაა: აქ განისვენებს მსხვერპლი სადგომის ძებნისა ივანე იოსების-ძე სოლომონიძე. დაიბადა 1893 წელს 7 ოქტომბერს, ტრაღიკულათ გარდაიცვალა 1916 წელს 15-16-17 ივლისს*). იძინე მეგობარო, საუკუნოიყოს ხსენება შენი.

გუგული.

მოჯიდავენი

(იგავ-არაკი)

ერთხელ, პეტრეს და ივანეს
ჭიდაობა განეზრახა.
სურდათ მათი ვაჟკაცობა
მთელ ქვეყანას დაენახა.

ხალხს მოუხმეს და დანიშნეს
დროც, ადგილიც შესაფერი,
ერთი სიტყვით ჭიდაობას
აღარ აკლდა არაფერი.

ჭიდაობის კანონ-წესი
სხვა და სხვაა და მრავალი,
და იმათაც ხალხს აუწყეს
(მოიხადეს თვისი ვალი),

---

*) დანამდვილებით ვერ გავიგე მისი გარდაცვალების დღე.

რომ მათ შორის ის იქნება
დაცემული, დაძლეული,
ვინაც ზეცას დაინახავს
ძირს პირაღმა წაქცეული;

ესე იგი, ჭიდაობა
აირჩიეს მათ ფრანგული.

პეტრე არის ღონიერი,
ღონით უნდა გამარჯვება,
ივანეს კი მაგიერად
უფრო ხერხი ემარჯვება,

მაგრამ ჯერ კი არ ვინ იცის,
ვინ ვის დასცემს, ვინ ვის დასლევს,
ზოგს ხერხი სწამს, და ზოგი კი
მნიშვნელობას ღონეს აძლევს.

ჰა, გამოჩნდენ მოედანზე
საჭიდაოთ მოკაზმული,
(გამოურკვევ მოლოდინით
აუძგერდა ყველას გული),

ჩაურბინეს მსწრაფლ ერთმანეთს,
წაუტაცეს მარდათ ხელი,
ამ დროს უცებ ივანე შორს
გადაუხტა როგორც შველი;

პეტრე ცდილობს ხელში იგდოს,
ღონით მიწას დაანარცხოს,
ივანე კი სხვა ხერხს ხმარობს,
სხვაფერ უნდა დაამარცხოს.

ი. სიხარულიძე.

ვაჭრის მწუხრი

(წერილი ველისციხიდან)

ჰა, იხსნება დარდანელი?
ბარემ გამომჭერით ყელი!
დიდი ფულის მოგებასა
ამ სამ თვეში ნაღდათ ველი.

გაიხსნება დარდანელი?
მაშინ შაბ-გოგირდიც მოვა?!
და ჩემს ძვირფას ტურფა „იმედს“
დაუდგება ჭირთა თოვა!

მაშ იხსნება დარდანელი?
თოღ, რა გინდათ, კოხპაწ კენა!
მე რომ გლეხებს ტყავი ვაძრო,
ეს რათა გშურთ „ახარ“ თქვენა?!

გაიხსნება დარდანელი?
ბას ესელ ინჩ სატანაემ!
ჯერ მინამდის ჯიბეს ვიტენ,
შემდეგ ვნახოთ, ეტელ ნაემ!

გაიხსნება დარდანელი?
ვერ მოგართვით, სტყუით, სტყუით!
თქვენზე უფრო შორს მჭვრეტია
„ახმახ“ ზურაბ თავის ჭკუით!

ხვლიკი.

მოჰპარის სიმღერა

(ბახმაროს)

პირველად გნახე ბახმაროვ,
ედემო მაღალ მთისაო,
ნაძვებით შემოზღუდულო,
ბაღნარო სამოთხისაო.

ვისაც სისუსტე აწუხებს
შენსკენ იზამენ პირსაო
და შენით განიკურნავენ
სნეულებას და ჭირსაო.

მაგრამ ამოდენ ქებასთან
თანაც ცუდი ზნე გჭირსაო,
რისთვისაც ბევრი განიცდის
უზომო გასაჭირსაო.

ჯანი რომ მომე ვეფხვისა,
მადა რომ მომე მგლისაო—
სულ ორ კვირაში შევჭამე
სამყოფი მთელი წლისაო!

რით დავაფასო ამაგი
მე ისეთ მასპინძლისაო,
რომელიც გადამხდელია
უზომო სასყიდლისაო.

სულ აქ გავფანტე ქონება
სოფლისა, ქალაქისაო,
შემომელია ქანქარი,
გამომეცალა ქისაო.

ეგ დარდი შემიმსუბუქოს
ისეთს ვის ვნახავ, ვისაო:
თხოვნით არავინ მომხედავს,
ძალით—მომტეხენ ცხვირსაო.

მაგრამ, შენ, ჩემო ბახმაროვ,
სამოთხევ ორი თვისაო,
ათ დღეში ჩემსა ბედაურს
დავადგამ უნაგირსაო.

და თუ მშვიდობით ჩავედი
ჩემს ქვეყანაში—ძირსაო,
ყოველ ზაფხულში გინატრებ,
მაინც არ გეტყვი ძვირსაო.

გურიანთელი.

პახეთისაკენ

რაც თელავი არ მენახა
იქნებოდა ხუთი წელი,
წასვლა ბევრჯერ დავაპირე
ვერ იქნა და ვერ წაველი.

და როდესაც ჩემს სამშობლოს
ღმერთმა რკინის გზა აღირსა
წაველ, მაგრამ შენი მტერი,—
მე რომ შევეყარე ჭირსა.

ვიძახოდი: რკინის გზითა
წასვლას რადა შეედრება,
და გზის ფული დილიჟანისა
ნახევარიც არ დაჯდება.

ესეც არ ვსთქვათ, დილიჟანით
გზას მთელი დღე ვუნდებოდი;
მატარებლით კი ვიფიქრე,
შინ სამ საათს გავჩნდებოდი.

მაგრამ დახე ბედისწერას
გამიცრუვდა იმედები,
რის სიჩქარე, სიიაფე,
რას მიედებ-მოედები?

ბილეთისთვის უმეტ-ნაკლოთ
ხუთი მანეთი დამიჯდა,
(დილიჟანი როგორც მახსოვს
ოთხზედაც ნაკლები ღირდა).

ამასაც ჯანი გავარდეს!
„პოეზდი“ რვაზე გავიდა.
სანამ „იორს“ მივაღწევდით
ცხრამეტჯერ პური მომშიჟდა...

ჩალაუბანს კონდუქტორმა
დაიყვირა: „ზავალიო“,
აიკიდეთ თქვენი ბარგი,
ცოტა გზაა სავალიო...“

მთელი დღისა მოკრუნჩხული
ავდექ ავიშალე წელში,
რაცა მქონდა ავიკიდე,
ზოგიც დავიჭირე ხელში.

თელავის სადგურზე მოველ,
თელავს ძლივს მოვკარი თვალი,
ვთქვი: ერი ჰა... თელავამდე
კიდევ ბევრია სავალი!

მაგრამ ვთქვი, თუ ათ შაურსა
გამომართმევს „ფაიტონი“,
ფეხით რიღასთვის ვიწვალო,
წავალ როგორც ვაჟ-ბატონი.

ხუთი მანეთი მომთხოვა!!!
აღარც ფეხში მქონდა ჯანი.
მივეცი... ჩვენ რკინის გზას სჯობს
„ნიკრიკიჭას“ დილიჟანი.

მეხი.

ჩხარი

(გამოცანა)

ჩხარში სამი გვამია,
სამი „ბურჯი“ ტიალი,
სამი დიდი წურბელა
სოფლის გამატიალი.

და ეს წუწკი პირები
ამ უკუღმართ დროშია,
ჰკბენენ ყველას, ვიდრემდის
არ გადუგდო გროშია.

სისხლსა სწოვენ უბედურთ
და თვითონ სუქდებიან;
საწყალი ხალხის ზურგზე
ჰარალესა მღერიან.

ხოლო ერთი მათგანი
ვით ცნობილი ვექილი,
როგორც მჩხავანა კატა
გაქნილ-გამოქექილი,

მას სოფლის გაპირვება,
უჩანს ვითა სიმღერა;
ნაცად კაცს ეძახიან,
ვინაც თვით ხალხს უმტერა...

სოფლისა პარლამენტში
ჰყეფს ვითარცა ფინია,
მასაც ნებავს სხვის ზურგზე
რომ გამართოს ლხინია!

ზესტაფონში შეჰქმნა მან
საქმენი საგმირონი,
შუბლზე მთლად წარიხოცა
ნათელი და მირონი.

მაგრამ დახეთ, დრო მოდის,
რაც მათ გადაარჯულებს,
როცა გაუშინჯავენ
თეთრ კბილებს და შავ გულებს,

და მათზე სამართალი
გადაიქცევა წყევათ,
გადიდდება ცოდვები,
და თავზე დაემსხვრევათ.

როკოკო.

დეპეშები

ოზტოფო. ადგილობრივ სამკითხველოს ინტელიგენციამ ბოიკოტი დაარტყა. ამის გამო და თანახმად ქართული ანდაზისა: „უპატრონო ეკლესიას; ეშმაკები ჰპატრონობენ.“ სამკითხველოს აქაური ბარიშნები დაეუფლენ.

ძირულა. ძირულის სამკითხველოში ხაზინადრად ,,სოლომონ ბრძენი'' აღმოჩნდა. როდესაც მას ფულების ანგარიში მოსთხოვეს, იძრო ხანჯალი და მოინდომა სამკითხველოს გამგის შუაზე გაჭრა.

სოფ. აჭარა. ადგილობრივმა საკრედიტო ბანკმა უკვე დაგზავნა ყველა ფრონტებზე მაძებრები, რომელიც ყოფილ საქმის მწარმოებელს ბ-ნ ხაროშვილს ეძებენ.

ბოლო

ძირულელს. თქვენი ლექსი იმდენად მოიკოჭლებს, რომ იმისი ფეხის გამოსწორება ყოვლად შეუძლებელია. აგრეთვე ბრალდებები ბევრია, საბუთები არც ერთი. ,ირ დაიბეჭდება.

არმავირი. დროშას. თქვენი გამოკვლევით სიტყვა ,,არმა-ვირი'' ორი სიტყვისაგან წარმომდგარა. ,,არმა'' ყოფილა ცოლი და ,,ვირი'' კი ქმარი. ასე თუ გავყევით მთელი ქვეყანა ,,არმავირი'' იქნება. ყოველ შემთხვევაში თქვენი გამოკვლევაც უტყუარი საბუთია ამგვარი განმარტებისა.

ახალ აგენტს. თქვენ ძლიერ აზვიადებთ თქვენი სოფლის მნიშვნელობას. დეპეშები უნდა იყოს მოკლე მკაფიო და ქაღალდის ერთ მხარეზე დაწერილი.

სანოვაგე თელავში.



„მამათა“ მოღვაწეობა თელავში.

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა, ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., №